


გაერთიანებული ერების ორგანიზაცია - რესურსების ჩარჩო კლასიფიკაცია

2019 წლის განახლებული გამოცემა

გაყიდული ან
გამოყენებული
პროდუქტი

ENVIRONMENTAL-SOCIO-ECONOMIC
VIABILITY

გამოყენებელ
ი ან
ექსპლუატაციის
სათვის
მოხმარებული
პროდუქტი



სიციფიკაციის სურათი

- პოტენციურად სიციფიკაციის სურათი
 - პროდუქტი არასიციფიკაციის სურათი
 - პროდუქტი
 - პერსპექტიული პროდუქტი
 - სხვა დანარჩენი განუვითარებელი პროდუქტი
 - სხვა კომბინაციები
 - წარმოებული მოცულობა
- 123 კოდიფიკაცია (E1; F2; G3)

TECHNICAL FEASIBILITY

DEGREE OF CONFIDENCE

61



გაერთიანებული ერების
ორგანიზაცია -
რესურსების ჩარჩო
კლასიფიკაცია
2019 წლის განახლებული გამოცემა

ECE ენერგეტიკული
სერია No61



გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისია

თხოვნები გამოცემის ნაწილის გადამუშავების ან მთლიანი გამოცემის ფოტოკოპირების შესახებ განხილულ უნდა იქნას საავტორო უფლებების ცენტრში copyright.com.

ყველა სხვა მოთხოვნა უფლებების და ლიცენზიების შესახებ, მათ შორის ტრანსფერული და დაკავშირებული უფლებების შესახებ უნდა გაიგზავნოს:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პუბლიკაციები, 405 აღმოსავლეთ 42-ე ქ., S-09FW001, ნიუ იორკი, NY 10017, ამერიკის შეერთებული შტატები. ელ.ფოსტა: permissions@un.org; ვებგვერდი: <https://shop.un.org>.

გამოთქმული დასკვნები, ინტერპრეტაციები და შეხედულებები ავტორის (ებ) ის მოსაზრებებია და აუცილებელი წესით არ ასახავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან მისი ოფიციალური პირების ან წევრი სახელმწიფოების მოსაზრებებს.

გამოცემაში გამოყენებული აღნიშვნა ან ამ ნაშრომის ნებისმიერ რუკაზე ობიექტის წარმოდგენა არ გულისხმობს გაეროს მხრიდან რაიმე აზრის გამოხატვას ნებისმიერი ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან ტერიტორიის ან მისი ხელისუფლების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, ან მისი საზღვრების მდგომარეობის შესახებ მოსაზრების გამოხატვას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის - რესურსების ჩარჩო კლასიფიკაციის 2019 წლის გამოცემა წარმოადგენს გაეროს წიაღისეული ენერგეტიკული და მინერალური რეზერვებისა და რესურსების 2009 წლის გამოცემის განახლებას, რაც ასევე მოიცავს მისი გამოყენების სპეციფიკაციების (ECE Energy Series 42 and ECE/ENERGY/94) ბოლო 2013 წლის ვერსიის განახლებასაც.

გამოცემა მომზადებულია ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, არაბულ, ესპანურ და ჩინურ ენებზე.

გაეროს გამოცემა, გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისია.

CE/ENERGY/125

აყიდვების ნუმერაცია.:
E.20.II.E.19 ISBN: 978-92-
1-117233-1

ISBN: 978-92-1-004686-2

SSN: 1014-7225

ISSN: 2412-0022

e

l

e

©2020 გაერო

ყველა უფლება დაცულია მსოფლიოს ყველა ქვეყნის მასშტაბით

შეტანილი წვლილის აღიარება

გაეროს რესურსების ჩარჩო კლასიფიკაცია (UNFC) განახლება 2019, რომელიც მოიცავს მისი გამოყენების სპეციფიკაციებს, შემუშავებულია გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისიის (ECE) და არაწევრი ქვეყნების, გაეროს სხვა სააგენტოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, მთავრობათშორისი ორგანოების, პროფესიული ასოციაციებისა და საზოგადოებებისა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობით.

აღსანიშნავია, ECE ექსპერტთა ჯგუფის წევრები რესურსების მართვის შესახებ, კერძოდ, მისი ბიურო, ტექნიკური საკონსულტაციო ჯგუფი და სხვა სამუშაო და სპეციალური დავალების ჯგუფები, მათ მიერ შეტანილი წვლილისათვის 2019 წლის განახლებულ გამოცემაში. რესურსების მართვის ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო და სპეციალური დავალების ჯგუფები მოიცავს: ანთროპოგენული რესურსების სამუშაო ჯგუფს, სამუშაო ჯგუფს კომერციულ საკითხებზე, კომუნიკაციების სამუშაო ჯგუფს, მიწისქვეშა წყლების სამუშაო ჯგუფს, ინჟინერი პროექტების სამუშაო ჯგუფს, მინერალების სამუშაო ჯგუფს, ბირთვული საწვავის სამუშაო ჯგუფის, ნავთობის საკითხების სამუშაო ჯგუფს, განახლებადი ენერჯის სამუშაო ჯგუფს, მათ შორის მისი ქვეჯგუფები ბიოენერჯის, გეოთერმული, მზის, ქარისა და ჰიდრო-საზღვაო ენერჯის, მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიწოდების სამუშაო ჯგუფს, კომპეტენციების სპეციალურ დავალებათა სამუშაო ჯგუფს და გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების განხილვის სპეციალურ დავალებათა სამუშაო ჯგუფს.

სარჩევი

შეტანილი წვლილის აღიარება III
შინაარსი
შემოკლებები და აბრევიატურები

iv

ნაწილი I

გაეროს რესურსების ჩარჩო კლასიფიკაცია (UNFC)

შესავალი

1

- I. გამოცემის გამოყენება 1
- II. კატეგორიები და ქვეკატეგორიები 2
- III. კლასები 2
- IV. ქვე-კლასები 4
- V. რესურსების მარაგების ჰარმონიზაცია 4
- VI. ეროვნულ ან ადგილობრივ საჭიროებებზე ადაპტირება 4
- VII. გარემოსდაცვითი და სოციალური მოსაზრებები 4

დანართი I

კატეგორიების განმარტება და დამხმარე ახსნა-განმარტებები 6

დანართი II

ქვეკატეგორიების განმარტება 8

ნაწილი II

გაეროს რესურსების ჩარჩო კლასიფიკაციის გამოყენების სპეციფიკაციები (UNFC)

I. შესავალი

11

- II. ეროვნული რესურსების შესახებ ანგარიშგება 12
- III. ინფორმაციის გასაჯაროება 12
- IV. ზოგადი სპეციფიკაციები 12
 - A. რიცხვითი კოდების გამოყენება 13
 - B. შუალედური დოკუმენტი 13
 - C. ძალაში შესვლის თარიღი 13
 - D. პროდუქტი 13
 - E. შეფასების საფუძველი 13
 - F. საბაზისო მაჩვენებელი 14
 - G. პროექტების კლასიფიკაცია, სიმწიფის დონის მიხედვით
 - H. E1, E2 და E3 14 შორის სხვაობა
 - I. განსხვავება პოტენციურად წარმოებულ და გამოუყენებელ რაოდენობას შორის 14
 - J. მოცულობათა აგრეგაცია 14
 - K. ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური დაშვებები 15
 - L. შემფასებლის კვალიფიკაცია 15
 - M. ერთეულები და კონვერტაციის ფაქტორები 15
 - N. დოკუმენტაცია 15

დანართი I

ტერმინების გლოსარი 16

დანართი II

გაიდლაინები ძირითადი ინსტრუქციების გამოყენების შესახებ UNFC 18-ში

დანართი III

გაიდლაინები პროექტის სიმწიფის გამოყენების შესახებ პროექტების ქვე-კლასიფიკაციაში UNFC-ის მიხედვით 19

- (a) სიცოცხლისუნარიანი პროექტები 19
- (b) პოტენციურად სიცოცხლისუნარიანი პროექტები 20
- (c) არასიცოცხლისუნარიანი პროექტები 20
- (d) პროექტების ფარგლებში განუვითარებელი სხვა ნარჩენი პროდუქტები 20

ცხრილებისა და დიაგრამების სია

დიაგრამა 1

UNFC კატეგორიები და კლასების მაგალითები 2

ცხრილი 2

UNFC- ის შემოკლებული ვერსია, ძირითადი კლასების მითითებით 3

ცხრილი 3

UNFC კლასები და ქვეკატეგორიებით განსაზღვრული ქვეკლასები 5

შემოკლებები და აბრევიატურები

AAPG	ამერიკის ნავთობპროდუქტების გეოლოგთა ასოციაცია
CRIRSCO	მინერალური რეზერვების საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტების კომიტეტი
EAGE	სტანდარტების გეომეცნიერთა და ინჟინერთა ევროპული ასოციაცია
ECE	გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისია
ექსპერტთა ჯგუფი	ECE ექსპერტთა ჯგუფი რესურსების მართვის შესახებ (ყოფილი ECE ექსპერტთა ჯგუფი რესურსების კლასიფიკაციის შესახებ)
IAEA	ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო
NEA	OECD-ის ბირთვული ენერჯის სააგენტო
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PRMS	ნავთობის რესურსების მართვის სისტემა 2018 წელს, რომელსაც მხარს უჭერს SPE, WPC, AAPG, SPEE, SEG, EAGE და SPWLA
SDGs	მდგრადი განვითარების მიზნები
SEG	გეოფიზიკოს მკვლევართა საზოგადოება
SPE	ნავთობპროდუქტების ინჟინრების საზოგადოება
SPEE	ნავთობის შეფასების ინჟინერთა საზოგადოება
SPWLA	პეტროფიზიკოსთა და ჭაბურღილების ანალიტიკოსების საზოგადოება
UNFC	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია - რესურსების ჩარჩო კლასიფიკაცია
WPC	მსოფლიო ნავთობის საბჭო

ნაწილი I

გაეროს რესურსების ჩარჩო
კლასიფიკაცია (UNFC)

შესავალი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინამდებარე რესურსების ჩარჩო კლასიფიკაციის (UNCF) 2019 წლის გამოცემა წარმოადგენს გაეროს წიაღისეული ენერგეტიკული და მინერალური რეზერვებისა და რესურსების 2009 წლის გამოცემის განახლებას, რაც ასევე მოიცავს მისი გამოყენების სპეციფიკაციების (ECE ენერგეტიკის გამოცემათა სერია 42 და ECE/ENERGY/94) ბოლო 2013 წლის ვერსიის განახლებასაც.

2017 წლის სექტემბერში, ECE მდგრადი ენერჯის კომიტეტმა თავის ოცდამეექვსე სესიაზე წიაღისეული ენერჯისა და მინერალური რეზერვებისა და რესურსების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2009 წლის ჩარჩო კლასიფიკაციის სახელწოდების ცვლილება დაამტკიცა და მას **გაეროს რესურსების ჩარჩო კლასიფიკაცია (UNFC)** ეწოდა.

რესურსების მართვის ექსპერტთა ჯგუფი მეათე სესიაზე (ჟენევა, შვეიცარია, 29 აპრილი - 3 მაისი 2019; სესიის ანგარიში: ECE/ENERGY/GE.3/2019/2) შემუშავებულ იქნა რეკომენდაცია, რომ UNFC-ის კლასიფიკაციისას გამოყენებული ტერმინოლოგიის გადახედვა უნდა მომხდარიყო, რათა ამ უკანასკნელს სრულად მოეცვა ნედლეულის და დაინტერესებული მხარეების სრული სპექტრის მრავალფეროვნება.

UNFC-ის ეს განახლებული ვერსია შექმნილია სხვადასხვა რესურსული სექტორისა და გამოყენების სფეროების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და სრულად შეესაბამება მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგით გათვალისწინებული მდგრადი რესურსების მართვას. ძირითადი ცვლილებებით, მათ შორის ტექსტის სტანდარტიზაციით, UNFC ყველა რესურსისთვის გამოყენებადი ხდება. ეს განახლება არ ცვლის კლასიფიკაციის სისტემას და, შესაბამისად, გავლენას არ მოახდენს UNFC-ის ამჟამინდელ მომხმარებლებზე. განახლებული ტექსტის მიზანია, UNFC-ის მომხმარებლებს გაუადვილოს მისი გამოყენება.

I. გამოცემის გამოყენება

გაეროს რესურსების ჩარჩო კლასიფიკაცია (UNFC) არის კლასიფიკაციის სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს რესურსული პროექტები¹ და პრინციპები, და რომლის დანიშნულებაცაა რესურსების ათვისებაზე მომუშავე პროექტების გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და ტექნიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრა¹.

ისეთი წყაროები, როგორცაა მზის, ქარის, გეოთერმული ენერჯია, ჰიდრო და ზღვის ენერჯია, ბიოენერჯია, საცავისთვის განკუთვნილი ინექციები, ნახშირწყალბადები, მინერალები, ბირთვული საწვავი და წყალი - წარმოადგენს ნედლეულს რესურსული პროექტებისთვის, საიდანაც პროდუქტების შემუშავება არის შესაძლებელი. წყაროები შეიძლება არსებობდეს ბუნებრივი ან მეორადი (ანთროპოგენური წყაროები, ნაყარი და ა.შ.) სახით.

შესაძლებელია პროექტის პროდუქტების შექმნა, გაყიდვა ან გამოყენება, - მათ შორის ელექტროენერჯის, სითბოს, ნახშირწყალბადების, წყალბადის, მინერალებისა და წყლის. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ პროექტში, როგორცაა განახლებადი ენერჯის წყაროების პროექტები, პროდუქტები (ელექტროენერჯია, სითბო, წყალბადი და ა.შ.) განსხვავდება წყაროებისგან (ქარი, მზის გამოსხივება და ა.შ.). სხვა პროექტებში პროდუქტები და წყაროები შეიძლება ერთი და იგივე იყოს, მაგ. ნავთობის პროექტებში, წყაროც და პროდუქტიც არის ნავთობი და/ან გაზი, თუმცა სითხეების მდგომარეობა და თვისებები შეიძლება იცვლებოდეს რეზერვუარიდან ზედაპირამდე პირობებს შორის.

პროექტი - ეს არის განსაზღვრული განვითარება ან ექსპლუატაცია (ქმედება, ოპერაცია, რომელიც იძლევა გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. პროექტის გეგმა შეიძლება იყოს დეტალური ან კონცეპტუალური (გრძელვადიანი ეროვნული

რესურსების დაგეგმვის შემთხვევაში). პროექტის გეგმა საკმარისად დეტალური უნდა იყოს, რომ პროექტის სიმწიფის გარკვეულ ეტაპზე დაინტერესებული მხარეებისთვის საჭიროებების სათანადო შეფასების საშუალებას იძლეოდეს.

UNFC შექმნილია იმისთვის, რომ შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილოს გამოყენების სფეროების საჭიროებები, რომლებიც ეხება შემდეგს:

- პოლიტიკის განსაზღვრა რესურსების კვლევების საფუძველზე;
- რესურსების მართვის ფუნქციები;
- კორპორაციული ბიზნეს პროცესები; და
- ფინანსური კაპიტალის განაწილება.

1 ტერმინები „რესურსი“ და „რესურსები“ არ არის განსაზღვრული UNFC- ში, რადგან მათ კონკრეტული, თუმცა განსხვავებული განმარტებები აქვთ სხვადასხვა სექტორში. ტერმინები აქ მხოლოდ ზოგადი მნიშვნელობებით გამოიყენება.

II. კატეგორიები და ქვეკატეგორიები

UNFC არის პრინციპებზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც რესურსული პროექტის პროდუქტების კლასიფიცირებას სამი ძირითადი კრიტერიუმის საფუძველზე ახდენს: გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა (E), ტექნიკური მიზანშეწონილობა (F) და შეფასების სანდოობის ხარისხი (G). შეფასება რიცხვითი კოდირების სისტემის გამოყენებით იწარმოება. ამ კრიტერიუმების კომბინაციები სამგანზომილებიან სისტემას ქმნის (სურათი 1). კატეგორიები (მაგ. E1, E2, E3) და, ზოგიერთ შემთხვევაში, ქვეკატეგორიები (მაგ. E1.1) განისაზღვრება სამი კრიტერიუმიდან თითოეულისთვის, როგორც ეს მითითებულია და განისაზღვრება I და II დანართებში.


კატეგორიების პირველი ნაკრები (ღერძი E) აღნიშნავს, რამდენად ხელსაყრელია გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური პირობები პროექტის სიცოცხლისუნარიანობისთვის, მათ შორის საბაზრო ფასებისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი, მარეგულირებელი, სოციალური, გარემოსდაცვითი და სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით. მეორე ნაკრები (F ღერძი) უჩვენებს პროექტის განსახორციელებლად საჭირო ტექნოლოგიის, კვლევებისა და ვალდებულებების სიმწიფეს. ეს პროექტები სხვადასხვა დონის შეიძლება იყოს, დაწყებული ადრეული კონცეპტუალური კვლევებით და დამთავრებული სრულად შემუშავებული მოქმედი პროექტით, და ასახავს სტანდარტული ღირებულების ჯაჭვური მართვის პრინციპებს. კატეგორიების მესამე ნაკრები (G ღერძი) ასახავს პროექტიდან მიღებული პროდუქტის რაოდენობრივი შეფასების სანდოობის ხარისხს.

კატეგორიები და ქვეკატეგორიები სისტემის მდგენელი ბლოკებია და გაერთიანებულია „კლასების“ სახით. UNFC შეიძლება წარმოდგენილ იქნას სამ განზომილებაში, როგორც ეს ნაჩვენებია სურათზე 1, ან პრაქტიკული ორგანოზომილებიანი შემოკლებული ვერსიით, როგორც ეს ნაჩვენებია სურათზე 2.

III. კლასები

კლასი უნიკალურად განისაზღვრება სამი კრიტერიუმიდან თითოეული კატეგორიის ან ქვეკატეგორიის (ან კატეგორიების/ქვეკატეგორიების ჯგუფების) კონკრეტული კომბინაციის შერჩევით. რამდენადაც კოდები ყოველთვის ერთი და იმავე თანმიმდევრობით გამოისახება (მაგ. E; F; G), შეგვიძლია, ასოები გამოვტოვოთ და მხოლოდ რიცხვები დავტოვოთ. შემდეგ უკვე კლასის განმსაზღვრელი რიცხვითი კოდი იდენტური იქნება ყველა ენაზე, სადაც ინდურ-არაბული ციფრები გამოიყენება.

სურათი 1
UNFC კატეგორიები და კლასების მაგალითები



მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს აშკარა შეზღუდვები E, F და G ქვეკატეგორიების შესაძლო კომბინაციებზე, ზოგიერთი მათგანი შეიძლება სხვებზე მეტად სასარგებლო გამოდგეს. უფრო მნიშვნელოვანი კომბინაციებისთვის (კლასები და ქვეკლასები), გამოიყენება რიცხვითი კოდის დამხმარე აღმნიშვნელები, როგორც სურათი 2-შია მოცემული.

როგორც სურათი 2 გვიჩვენებს, შემუშავებისთვის ხელმისაწვდომი ან წარმოებაში არსებული მთლიანი პროდუქტის კლასიფიკაცია წარმოებს კონკრეტული თარიღისთვის. პროდუქტის რაოდენობრივი განსაზღვრისას შეიძლება საჭირო გახდეს პროექტის სასიცოცხლო ციკლის/ლიმიტის გათვალისწინება (მაგ. განახლებადი ენერჯის პროექტებისთვის). კლასიფიკაცია ხდება შემდეგი ნიშნებით:

- (a) გაყიდული ან გამოყენებული წარმოებული პროდუქტის რაოდენობა. ეს მოიცავს მზის სახლის მოწყობილობის პირდაპირ შიდა გამოყენებას, ან ადგილობრივ ბაზარზე მიწოდებულ პროდუქტს, რომელიც არ არის რეალიზაციისთვის გამიზნული.
- (b) წარმოებული რაოდენობა, რომლებიც გამოუყენებელია ან მოხმარდა ექსპლუატაციას.
- (c) ცნობილი პროდუქტის რაოდენობა, რომელიც შეიძლება მომავალში იქნას წარმოებული. პროექტებზე დაფუძნებული ტექნიკური და ეკოლოგიურ-სოციალურ-ეკონომიკური შეფასების კვლევები კლასიფიკაციის საფუძველს წარმოადგენს.
- (d) პროდუქტის დანარჩენი რაოდენობა, რომელიც არ დამუშავებულა არცერთი პროექტის მიერ.
- (e) პროდუქტის რაოდენობა, რომელიც შეიძლება პერსპექტიულმა პროექტებმა აწარმოონ მომავალში. პერსპექტიულ პროექტებზე დაფუძნებული ტექნიკური და ეკოლოგიურ-სოციალურ-ეკონომიკური შეფასების კვლევები კლასიფიკაციის საფუძველს წარმოადგენს.
- (f) პროდუქტის დარჩენილი რაოდენობა, რომელიც არ შემუშავებულა არცერთი პერსპექტიული პროექტის მიერ.

სურათი 2

UNFC- ის შემოკლებული ვერსია, ძირითადი კლასების მითითებით

წარმოებული	გაყიდული ან გამოყენებული პროდუქტი			
	გამოუყენებელი ან ექსპლუატაციისთვის მოხმარებული პროდუქტი			
	კლასი	მინიმალური კატეგორიები		
E		F	G	
პროექტის გარემოსდაცვითი-სოციალურ-ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა და ტექნიკური მიზანშეწონილობა დადასტურებულია	სიცოცხლისუნარიანი პროექტები	1	1	1, 2, 3
პროექტის გარემოსდაცვითი-სოციალურ-ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა და/ან ტექნიკური მიზანშეწონილობა ჯერ არ დადასტურებულა	პოტენციურად სიცოცხლისუნარიანი პროექტები	2	2	1, 2, 3
	არასიცოცხლისუნარიანი პროექტები	3	2	1, 2, 3

დარჩენილი პროდუქტები, რომლებიც არ შემუშავებულა იდენტიფიცირებული პროექტების მიერ*	3	4	1, 2, 3
წყაროს შესახებ არ არის საკმარისი ინფორმაცია პროექტის გარემოსდაცვითი-სოციალურ-ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და ტექნიკური მიზანშეწონილობის შესაფასებლად	პერსპექტიული პროექტები	3	3
დარჩენილი პროდუქტები, რომლებიც არ შემუშავებულა პერსპექტიული პროექტების მიერ	3	4	4

- a. სამომავლო წარმოებაში გამოყენებული ან პროექტის ოპერაციებში მოხმარებული პროდუქტი კლასიფიცირდება როგორც E3.1. ის შეიძლება არსებობდეს ყველა კლასის აღდგენადი პროდუქტის რაოდენობისთვის.
- b. G კატეგორიები შეიძლება გამოყენებულ იქნას დისკრეტულად (დანაწევრებით), ან კუმულაციური სცენარის ფორმით (მაგ. G1+ G2).
- c. ბევრ კლასიფიცირების სისტემაში სიცოცხლისუნარიან პროექტებთან დაკავშირებული შეფასებები განსაზღვრულია, როგორც რეზერვები, თუმცა სხვადასხვა სფეროებში გამოყენებული კონკრეტულ განმარტებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, ამიტომ ეს ტერმინი აქ არ გამოიყენება.
- d. ყველა პოტენციურად სიცოცხლისუნარიანი პროექტი არ შემუშავდება.
- e. პოტენციურად სიცოცხლისუნარიანმა პროექტებმა შეიძლება დააკმაყოფილოს E1 მოთხოვნები.
- f. არასიცოცხლისუნარიანს მიეკუთვნება შეფასების ადრეულ ეტაპზე მყოფი პროექტები, ასევე პროექტები, რომლებიც ნაკლებად სავარაუდოა, სიცოცხლისუნარიანი გახდნენ პროგნოზირებად მომავალში.
- g. დანარჩენი პროდუქტები, რომლებიც არ შემუშავებულა იდენტიფიცირებული პროექტების ან პერსპექტიული პროექტების მიერ, შეიძლება მომავალში, სოციალურ-ეკონომიკური პირობების ცვლილებების კვალდაკვალ გახდეს შემუშავებისთვის ვარგისი. ზოგიერთი ან ყველა ეს შეფასება შეიძლება არასოდეს არ განვითარდეს ფიზიკური და/ან ეკოლოგიურ-სოციალურ-ეკონომიკური შეზღუდვების გამო. ეს კლასიფიკაცია შეიძლება ნაკლებად გამოსადეგი იყოს განახლებადი რესურსების პროექტებისთვის, თუმცა მათი გამოყენება მაინც შეიძლება არარეალიზებული პოტენციალის საჩვენებლად. ხაზგასმულია, რომ დანარჩენი პროდუქტი არის ის რაოდენობები, რომელთა წარმოების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მათი ყიდვა, გაყიდვა ან გამოყენება (ანუ ელექტროენერჯია, სითბო და ა.შ., და არა ქარი, მზის სინათლე და ა.შ.).

შესაძლებელია, რომ წყაროსთან ყველა პროექტის მთლიანი პროდუქტი კლასიფიკაციის სრული გამოყენებით აღიწეროს. ამისათვის საჭიროა საბაზისო წერტილის დადგენა, რომელშიც განსაზღვრება პროდუქტის რაოდენობა, ხარისხი და რეალიზაციის (ან გადატანის²) ფასი.

პროდუქტის წინასწარი რაოდენობრივი შეფასება ყოველთვის ხდება, გარდა წარსულში წარმოებული პროდუქციისა, რომლის გაზომვაც შესაძლებელი იქნებოდა. შეფასებებისთვის დამახასიათებელია გარკვეული ხარისხით გაურკვევლობა. გაურკვევლობის შესახებ მითითება ხდება სანდოობის დონეების შემცირების დისკრეტული რაოდენობის ციტირებით (მაღალი, ზომიერი, დაბალი) ან სამი კონკრეტული სცენარის ან შედეგის (დაბალი, საუკეთესო და მაღალი პროგნოზების) გენერირებით. დაბალი შეფასების მქონე სცენარის პირდაპირი ეკვივალენტია მაღალი საიმედოობის შეფასება (ე.ი. G1), ხოლო საუკეთესო შეფასების სცენარის ეკვივალენტია მაღალი სანდოობისა და ზომიერი სანდოობის შეფასებების (G1 + G2) კომბინაცია. მაღალი შეფასების მქონე სცენარი მაღალი, ზომიერი და დაბალი სანდოობის შეფასების კომბინაციის (G1 + G2 + G3) ეკვივალენტია. რაოდენობები შეიძლება შეფასდეს დეტერმინისტული ან ალბათობის მეთოდების გამოყენებით.

პროექტები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ სიცოცხლისუნარიანი პროექტის მოთხოვნებს, დამოკიდებულია ერთ ან მეტ პირობაზე, რომლებიც მოცემული მომენტისთვის არ არის დაკმაყოფილებული. ეს პირობითი პროექტები იყოფა პროექტებად, რომელთათვისაც მოსალოდნელია, რომ გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური პირობები მისაღები გახდება პროექტის განხორციელების თვალსაზრისით და პროექტებად, რომელთა შემთხვევაში პირობები მიუღებელია.

IV. ქვე-კლასები

გლობალურ კომუნიკაციებში მეტი სიცხადისთვის, UNFC-ის დამატებითი ქვეკლასები განისაზღვრება დანართ II-ში მოცემული ქვეკატეგორიების სრული დეტალიზაციის საფუძველზე. აღნიშნული თვალსაზრისით არის წარმოდგენილი სურათში 3.

V. რესურსების ინვენტარის ჰარმონიზაცია

ნახაზი 2-ში წარმოდგენილის გარდა, კლასიფიკაციების გენერირება შეიძლება შესაბამისი კომბინაციების შერჩევით, ან კატეგორიების დაჯგუფებით ან შემდგომი დაყოფით. აღნიშნული სხვადასხვა კლასიფიკაციის სისტემების საფუძველზე შემუშავებული ინვენტარიზაციების შეჯერების საშუალებას იძლევა.

ამის საპირისპიროდ, ინვენტარიზაციის შედგენისას შეუმოკლებელი UNFC-ის გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია მისი სხვა ჰარმონიზებული კლასიფიკაციების საფუძველზე შემუშავებულ ინვენტარად გარდაქმნა, ისე რომ საბაზისო ინფორმაციაზე დაბრუნება არ იქნება საჭირო.

VI. ეროვნულ ან ადგილობრივ საჭიროებებზე ადაპტირება

ხშირად საჭირო ხდება კლასიფიკაციების ეროვნულ თუ ადგილობრივ საჭიროებებზე მორგება. ამ ტიპის ცვლილებები უნდა შემოწმდეს შეუმოკლებელ UNFC-თან და სხვა გამოყენებად აპლიკაციებთან შესაბამისობაზე. ადაპტაციის პროცესში გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია UNFC-თან შეუსაბამობების დოკუმენტირება.

VII. გარემოსდაცვითი და სოციალური მოსაზრებები

გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები, მათ შორის მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგში და მდგრადი განვითარების მიზნებში (SDGs) განსაზღვრული საკითხები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ პროექტის შემუშავებაზე, პროექტის კლასიფიკაციაში UNFC-ის ქვეშ არის შეტანილი. პროექტის კლასიფიცირებისას, E-ლერძის კატეგორიები მკაფიოდ არის განსაზღვრული ისეთი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გათვალისწინების მიზნით, რომლებსაც შესაძლოა პროექტის სიცოცხლისუნარიანობასთან ჰქონდეს კავშირი, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა არატექნიკური ფაქტორებთან ერთად.

ყველა ცნობილი სოციალური ან გარემოსდაცვითი ასპექტის იდენტიფიცირება და გათვალისწინება, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს პროექტზე მისი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, აღიარებულია, როგორც შეფასების განუყოფელი ნაწილი. სოციალური და გარემოსდაცვითი ფაქტორების არსებობამ შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის შემდგომ მსვლელობას ან გამოიწვიოს პროექტის განვითარების აქტივობების შეჩერება ან პროექტის კეთილსაიმედოობა დააყენოს ეჭვქვეშ.

2 მსხვილ ინტეგრირებულ პროექტებში შესაძლოა საჭირო გახდეს შიდა საწყის და შუალედურ ოპერაციას შორის ან საბოლოო ოპერაციას შორის „გადაცემის“ ფასის განსაზღვრა თვითღირებულების გაანგარიშების საფუძველზე.

ზოგ შემთხვევაში, პოზიტიური გარემოსდაცვითი ან სოციალური გარე ფაქტორების არსებობას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს პროექტის დაწყებაში. კლასიფიკაცია ასახავს გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების სიმწიფეს და მათ გავლენას პროექტის შემუშავებაზე.

სურათი 3

ქვეკატეგორიებით განსაზღვრული UNFC კლასები და ქვეკლასები

კატეგორიებით და ქვეკატეგორიებით განსაზღვრული UNFC კლასები						
წარმოებული	გაყიდული ან გამოყენებული პროდუქტი					
	გამოყენებელი ან ოპერაციებში მოხმარებული პროდუქტი					
	კლასი	ქვე-კლასი	კატეგორია			
			E	F	G	
	სიცოცხლისუნარიანი პროექტები	მიმდინარე წარმოება	1	1,1	1, 2, 3	
		დამტკიცებული შემუშავებისთვის	1	1,2	1, 2, 3	
		დასაბუთებული შემუშავებისთვის	1	1,3	1, 2, 3	
	პოტენციურად სიცოცხლისუნარიანი პროექტები	მომლოდინე შემუშავება	2 ^a	2,1	1, 2, 3	
		შეჩერებული შემუშავება	2	2,2	1, 2, 3	
	არასიცოცხლისუნარიანი პროექტები	დაუზუსტებელი შემუშავება	3,2	2,2	1, 2, 3	
		არასიცოცხლისუნარიანი შემუშავება	3,3	2,3	1, 2, 3	
	დარჩენილი პროდუქტები, რომლებიც არ შემუშავებულა იდენტიფიცირებული პროექტებიდან		3,3	4	1, 2, 3	
	პოტენციური წყაროები	პერსპექტიული პროექტები	[ქვე-კლასები განსაზღვრული არ არის]	3,2	3	4
		დარჩენილი პროდუქტები, რომლებიც არ შემუშავებულა პერსპექტიული პროექტებიდან		3,3	4	4

- a. ასევე იხილეთ სურათი 2-ის შენიშვნები.
- b. შემუშავების მომლოდინე პროექტები შეიძლება აკმაყოფილებდეს E1-ის მოთხოვნებს.

დანართი I^a

კატეგორიების განმარტება და დამხმარე ახსნა- განმარტებები

E დერძი – გარემოსდაცვით-სოციალურ-ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა

კატეგორია	განსაზღვრება	დამატებითი განმარტება
E1	შემუშავებისა და ექსპლუატაციის გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა დადასტურებულია.	შემუშავება და ექსპლუატაცია გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით სიცოცხლისუნარიანია არსებული პირობებისა და მომავალი პირობების რეალისტური ვარაუდების საფუძველზე. ყველა საჭირო პირობა (მათ შორის შესაბამისი ნებართვები და კონტრაქტები) შესრულებულია, ან არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი, რომ ყველა საჭირო პირობა შესრულდება მისაღებ ვადაში, ხოლო პროდუქტის მომხმარებლისთვის ან ბაზარზე მიწოდების შემაფერხებელი ფაქტორები არ არსებობს. დადებითი გრძელვადიანი პროგნოზის პირობებში, მოკლევადიანი არახელსაყრელი პირობები არ ახდენს გავლენას გარემოსდაცვით და სოციალურ-ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობაზე.
E2	მოსალოდნელია, რომ პროგნოზირებად მომავალში შემუშავება და ექსპლუატაცია გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით	ჯერ კიდევ არ არის დადასტურებული, რომ შემუშავება და ექსპლუატაცია გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით სიცოცხლისუნარიანია, თუმცა, მომავალი პირობების რეალისტური ვარაუდების საფუძველზე, გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის

	სიცოცხლისუნარიანი გახდება.	საფუძვლიანი პერსპექტივები იკვთება პროგნოზირებადი მომავლისთვის.
E3	არ არსებობს იმის მოლოდინი, რომ შემუშავება და ექსპლუატაცია გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით სიცოცხლისუნარიანი გახდება პროგნოზირებად მომავალში ან შეფასების პროცესი ძალიან ადრეულ ეტაპზეა იმისთვის, რომ გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის დადგენა იყოს შესაძლებელი.	მომავალი პირობების რეალისტური ვარაუდების საფუძველზე, ამჟამად ითვლება, რომ გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის დასაბუთებული პერსპექტივა არ არსებობს პროგნოზირებადი მომავლისთვის; ან, არასაკმარისი ინფორმაციის გამო, გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის დადგენა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. ასევე შედის შეფასებები, რომლებიც დაკავშირებულია პროექტებთან, რომელთა შემუშავება პროგნოზით მოსალოდნელია, მაგრამ რომელთა გამოყენება არ მოხდება ან მოხმარდება ექსპლუატაციის პროცესს.

F ღერძი – ტექნიკური მიზანშეწონილობა და სიმწიფე

კატეგორია	განსაზღვრება	დამხმარე ახსნა-განმარტება
F1	სამუშაო პროექტის ტექნიკური მიზანშეწონილობა დადასტურებულია.	ამჟამად მიმდინარეობს მისი შემუშავება ან ექსპლუატაცია, ან საკმარისად დეტალური კვლევები ჩატარდა შემუშავებისა და ექსპლუატაციის ტექნიკური მიზანშეწონილობის დემონსტრირების მიზნით. პროექტის შემუშავების ვალდებულება იკისრა პროექტთან დაკავშირებულმა ყველა მხარემ - მათ შორის მთავრობებმა, ან მომავალში იკისრებს.
F2	სამუშაო პროექტის ტექნიკური მიზანშეწონილობა საჭიროებს შემდგომ შეფასებას.	განსაზღვრული პროექტის წინასწარმა კვლევებმა საკმარისად დასაბუთებულად აჩვენა, რომ შემუშავებას პოტენციური აქვს და რომ აუცილებელია შემდგომი კვლევების ჩატარება. შემუშავების მიზანშეწონილობის დასადასტურებლად შეიძლება საჭირო გახდეს დამატებით მონაცემთა მოპოვება და/ან კვლევა.
F3	სამუშაო პროექტის ტექნიკური მიზანშეწონილობა შეზღუდული მონაცემების გამო ვერ	პროექტის ძალიან ადრეული კვლევები მიუთითებს შემდგომი მონაცემების შეგროვების ან შესწავლის საჭიროებაზე შემუშავების პოტენციური მიზანშეწონილობის შესაფასებლად.

	შეფასდება.	
F4	სამუშაო პროექტის იდენტიფიცირება არ მომხდარა.	პროდუქტის დანარჩენი რაოდენობა, რომელიც არ დამუშავებულა არცერთი პროექტის მიერ. ეს არის რაოდენობები, რომელთა წარმოების შემთხვევაში შესაძლებელია მათი შექმნა, გაყიდვა ან გამოყენება (მაგ. ელექტროენერგია, სითბო და ა.შ., და არა ქარი, მზის დასხივება და ა.შ.).

^a დანართი I წარმოადგენს UNFC- ის განუყოფელ ნაწილს.

G ღერძი - სანდოობის ხარისხი

კატეგორია	განსაზღვრება	დამხმარე ახსნა-განმარტება
G1	პროექტთან დაკავშირებული პროდუქტის რაოდენობა, რომლის შეფასება შესაძლებელია სანდოობის მაღალი ხარისხით.	პროდუქტის რაოდენობის შეფასებების კლასიფიცირება შეიძლება დისკრეტულად, როგორც G1, G2 და/ან G3 (შესაბამის E და F კატეგორიებთან ერთად) პირდაპირ მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასებების სანდოობის ხარისხის მიხედვით (შესაბამისად, მაღალი, ზომიერი და დაბალი სანდოობა).
G2	პროექტთან დაკავშირებული პროდუქტის რაოდენობა, რომლის შეფასება სანდოობის საშუალო ხარისხით შეიძლება.	ან, როგორც ალტერნატივა, პროდუქტის რაოდენობის შეფასებების კლასიფიცირება შეიძლება გაურკვევლობათა დიაპაზონის საფუძველზე, რომელიც გამოიხატება (i) სამი კონკრეტული დეტერმინისტული სცენარით (დაბალი, საუკეთესო და მაღალი) ან (ii)
G3	პროექტთან დაკავშირებული პროდუქტის რაოდენობა, რომლის შეფასება სანდოობის დაბალი ხარისხით შეიძლება.	ალბათობის ანალიზით, საიდანაც სამი შედეგი (P90, P50 და P10) ³ შეირჩევა. ორივე მეთოდოლოგიაში („სცენარი“ და „ალბათური“ მიდგომები), შემდეგ შეფასებები კლასიფიცირდება G ღერძზე, როგორც G1, G1 + G2 და G1 + G2 + G3 შესაბამისად. ყველა შემთხვევაში, პროდუქტის რაოდენობის შეფასებები პროექტს უკავშირდება. დამატებითი კომენტარები: G-ღერძის კატეგორიებმა უნდა ასახოს ყველა ის მნიშვნელოვანი გაურკვევლობა (მაგ. წყაროს გაურკვევლობა, გეოლოგიური გაურკვევლობა, ობიექტის ეფექტურობის გაურკვევლობა და ა.შ.), რომელიც პროექტის სავარაუდო პროგნოზზე ახდენს გავლენას. გაურკვევლობა მოიცავს შემუშავებისა და ექსპლუატაციის ცვალებადობას, უწყვეტობას და ეფექტურობას (სადაც გამოიყენება). როგორც წესი, ხდება სხვადასხვა გაურკვევლობების კომბინირება, რომ შედეგების სრული სპექტრი იყოს წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევებში კატეგორიზაცია უნდა ასახავდეს სამ

		სცენარს ან შედეგს, რომლებიც (G1, G1 + G2)-ის და (G1 + G2+G3)-ის ეკვივალენტური იქნება.
G4	პერსპექტიულ პროექტთან დაკავშირებული პროდუქტის რაოდენობა, რომელიც ფასდება წინასწარი ან არაპირდაპირი მონაცემების საფუძველზე.	<p>პერსპექტიული პროექტი არის პროექტი, სადაც შესამუშავებელი პროდუქტის არსებობა ძირითადად წინასწარი ან არაპირდაპირი მონაცემების საფუძველზე ფასდება და ჯერ არ არის დადასტურებული.</p> <p>დადასტურებისთვის საჭირო იქნება მონაცემთა შემდგომი მოპოვება და შეფასება.</p> <p>ერთიანი შეფასების შემთხვევაში, ეს შეფასება უნდა იყოს მოსალოდნელი შედეგი, თუმცა, შეძლებისდაგვარად, პერსპექტიული პროექტისთვის გაურკვევლობის სრული დიაპაზონი უნდა იყოს გამოთვლილი.</p> <p>გარდა ამისა, რეკომენდებულია, შეფასდეს და ჩაინიშნოს წარმატების ალბათობა - ალბათობა იმისა, რომ პერსპექტიული პროექტი სიცოცხლისუნარიან პროექტად იქცევა.</p>

3 სადაც P90 ნიშნავს, რომ არსებობს 90 პროცენტთან ალბათობა იმისა, რომ რეალური შედეგი საპროგნოზო შეფასების ტოლი ან მეტი იქნება. ანალოგიურად, P50 და P10 ასახავს 50% და 10% ალბათობებს, რომ რეალური შედეგი ამ საპროგნოზო შეფასებების ტოლი ან მეტი იქნება.

დანართი II

ქვეკატეგორიების განმარტება

კატეგორია	ქვეკატეგორია	ქვეკატეგორიის განმარტება
E1	E1.1	შემუშავება გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით სიცოცხლისუნარიანია არსებული პირობებისა და მომავალი პირობების რეალისტური ვარაუდების საფუძველზე.
	E1.2	შემუშავება გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით არ არის სიცოცხლისუნარიანი არსებული პირობებისა და რეალისტური ვარაუდების საფუძველზე, თუმცა სიცოცხლისუნარიანი იქნება სახელმწიფო სუბსიდიების და/ან სხვა მოსაზრებების საფუძველზე.
E2	ქვეკატეგორიები არ არის განსაზღვრული	
E3	E3.1	იმ პროდუქტის შეფასება, რომლის შემუშავებაც პროგნოზირებულია, მაგრამ რომელიც არ იქნება გამოყენებული ან მოხმარდება ექსპლუატაციას.
	E3.2	არასაკმარისი ინფორმაციის გამო, გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის დადგენა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.
	E3.3	მომავალი პირობების რეალისტური ვარაუდების საფუძველზე, ამჟამად მიჩნეულია, რომ ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის დასაბუთებული პერსპექტივა არ არსებობს.

კატეგორია	ქვეკატეგორია	ქვე-კატეგორიის განმარტება
F1	F1.1	წარმოება ამჟამად მიმდინარეობს.
	F1.2	გამოყოფილია კაპიტალური სახსრები და შემუშავების პროცესი მიმდინარეობს.
	F1.3	შემუშავებისა და ექსპლუატაციის ტექნიკური მიზანშეწონილობის დემონსტრირებისთვის საჭირო კვლევები დასრულებულია. უნდა არსებობდეს დასაბუთებული მოლოდინი, რომ პროექტის შემუშავების ეტაპზე გადასასვლელად ყველა საჭირო ნებადართვა/კონტრაქტი უახლოეს მომავალში იქნება მოპოვებული/მიღებული

F2	F2.1	მიმდინარეობს საპროექტო საქმიანობა იმისთვის, რომ დასაბუთდეს პროექტის შემუშავება პროგნოზირებად მომავალში
	F2.2	საპროექტო საქმიანობა შეჩერებულია ან/და შემუშავების დასაბუთება შეიძლება მნიშვნელოვნად დაგვიანდეს
	F2.3	შეზღუდული პოტენციალის გამო, ამჟამად შემუშავება ან დამატებითი მონაცემების მოპოვება არ არის დაგეგმილი.

^a დანართი II ქმნის UNFC- ის განუყოფელ ნაწილს.

გაეროს რესურსების ჩარჩო კლასიფიკაცია – განახლება 2019

კატეგორია	ქვეკატეგორია	ქვე-კატეგორიის განმარტება
F3	F3.1	ადგილზე ჩატარებულმა სპეციალურმა კვლევებმა საკმარისად დამაჯერებლად წარმოაჩინა, რომ პროექტის შემუშავებას პოტენციალი გააჩნია, რაც შემდგომი ტესტირების ჩატარების გარანტიას იძლევა.
	F3.2	ადგილობრივი კვლევები კონკრეტულ სფეროში პროექტის შემუშავების პოტენციალზე მიუთითებს, თუმცა მოითხოვს დამატებით მონაცემთა მოპოვებას და/ან შეფასებას, იმისთვის რომ საკმარისად დამაჯერებელი იყოს შემდგომი ტესტირების გასამართლებლად.
	F3.3	კვლევის ძალიან ადრეულ ეტაპზე, რეგიონული კვლევებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ტერიტორიაზე პროექტის შემუშავებისთვის ხელსაყრელი პირობები არსებობს.
F4	F4.1	წარმატებული საპილოტე კვლევების შემდეგ, საჭირო ტექნოლოგია აქტიური შემუშავების პროცესშია, თუმცა მისი ტექნიკური მიზანშეწონილობა მოცემული პროექტისთვის ჯერ არ არის დადასტურებული.
	F4.2	მიმდინარეობს საჭირო ტექნოლოგიის შესწავლა, თუმცა წარმატებული საპილოტე კვლევები ჯერ არ დასრულებულა.
	F4.3	ტექნოლოგია ამჟამად არ არის კვლევის ან შემუშავების პროცესში.

G - სანდოობის ხარისხი

კატეგორია	ქვეკატეგორია	ქვე-კატეგორიის განმარტება
G4	G4.1	რაოდენობების დაბალი შეფასება.
	G4.2	ნამატი G4.1-ზე იმგვარად, რომ G4.1+G4.2 გაუტოლდეს რაოდენობების საუკეთესო შეფასებას.
	G4.3	ნამატი G4.1+G4.2-ზე იმგვარად, რომ G4.1+G4.2+G4.3 უდრიდეს რაოდენობების მაღალ შეფასებას.

გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისია

ნაწილი II*

გაეროს რესურსების ჩარჩო კლასიფიკაციის გამოყენების სპეციფიკაციები (UNFC)

* თუ სხვა რამ არ არის მითითებული, II ნაწილში ჩამოთვლილი თავები და დანართები ეხება მხოლოდ II ნაწილს.

გაეროს რესურსების ჩარჩო კლასიფიკაცია – განახლება 2019

I. შესავალი

გაეროს რესურსების ჩარჩო კლასიფიკაცია (UNFC) არის საყოველთაოდ აღიარებული და საერთაშორისოდ გამოყენებადი კლასიფიკაციის სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს რესურსული¹ პროექტები და პრინციპები, და რომლის დანიშნულებაცაა რესურსების ათვისებაზე მომუშავე პროექტების გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და ტექნიკური მიზანშეწონილობისა და სიმწიფის განსაზღვრა¹. UNFC უზრუნველყოფს თანმიმდევრულ ბაზას პროექტის მიერ წარმოებული მომავალი რაოდენობების სანდოობის ხარისხის აღსაწერად.

ისეთი წყაროები, როგორცაა მზის, ქარის, გეოთერმული ენერჯია, ჰიდრო და ზღვის ენერჯია, ბიოენერჯია, საცავისთვის განკუთვნილი ინექციები, ნახშირწყალბადები, მინერალები, ბირთვული საწვავი და წყალი - წარმოადგენს ნედლეულს რესურსული პროექტებისთვის, საიდანაც პროდუქტების შემუშავება არის შესაძლებელი. წყაროები შეიძლება გამოყენებულ იქნას ბუნებრივი ან მეორადი (ანთროპოგენური წყაროები, ნაყარი და ა.შ.) სახით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რესურსების ჩარჩო კლასიფიკაციის 2019 წლის გამოცემა წარმოადგენს გაეროს წიაღისეული ენერგეტიკული და მინერალური რეზერვებისა და რესურსების 2009 წლის გამოცემის განახლებას, რაც ასევე მოიცავს მისი გამოყენების სპეციფიკაციების (ECE Energy Series 42 and ECE/ENERGY/94) ბოლო 2013 წლის ვერსიის

განახლებასაც. 2009 წლის გაეროს წიაღისეული ენერგეტიკული და მინერალური რეზერვებისა და რესურსების ჩარჩო კლასიფიკაციის (UNFC-2009) სახელწოდება გაეროს რესურსების ჩარჩო კლასიფიკაციით 2017 წელს შეიცვალა. UNFC-2009-ის ტექსტი (შეიცავს ამ გამოცემის I და III ნაწილებს (ECEE ენერგეტიკული სერია 42) ადრე 2010 წელს გამოქვეყნდა (ECEE ენერგეტიკული სერია 39 და ECE/ENERGY/85).

UNFC-ის ამ განახლებულ ვერსიაში ჯეროვნად არის აღიარებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მნიშვნელობა რესურსების კლასიფიკაციის კონტექსტში.

2010 წლის აპრილში, რესურსების მართვის ექსპერტთა ჯგუფის პირველ სესიაზე (ადრე, 2018 წლის ბოლომდე რესურსების კლასიფიკაციის ექსპერტთა ჯგუფის სახით ცნობილი) შეთანხმდნენ UNFC-ის ზოგადი სპეციფიკაციების შემუშავებაზე, თუმცა მხოლოდ იმდენად, რამდენიც ჩაითვლებოდა აუცილებლად UNFC-ის ფარგლებში შეფასებული რაოდენობების ანგარიშგებისას შესაბამისი დონის თანმიმდევრულობის მისაღწევად. UNFC შესაბამისობას ზოგიერთ სხვა კლასიფიკაციის სისტემასთან უზრუნველყოფს მაკავშირებელი დოკუმენტი. მაკავშირებელი დოკუმენტი განმარტავს UNFC-სა და სხვა კლასიფიკაციის სისტემას შორის ურთიერთობას, მათ შორის ინსტრუქციებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ სისტემის გამოყენების შედეგად მიღებული შეფასებების კლასიფიკაცია UNFC რიცხვითი კოდების გამოყენებით.

2019 წლის დეკემბრის შემდეგ, შემდეგი მაკავშირებელი დოკუმენტები გამოიცა:

- (a) მაკავშირებელი დოკუმენტი მინერალური რეზერვების საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტების კომიტეტის (CRIRSCO) შაბლონსა და UNFC-ს შორის.
- (b) მაკავშირებელი დოკუმენტი SPE ნავთობის რესურსების მართვის სისტემასა (PRMS) და UNFC-ს შორის.
- (c) მაკავშირებელი დოკუმენტი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) შორის/ ურანის კლასიფიკაციასა და UNFC-ს შორის.
- (d) მაკავშირებელი დოკუმენტი რუსეთის ფედერაციის 2013 წლის ნავთობისა და საწვავის გაზის რეზერვებისა და რესურსების კლასიფიკაციასა და UNFC-ს შორის.
- (e) მაკავშირებელი დოკუმენტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნულ სტანდარტს „მყარი საწვავისა და მინერალური რესურსების/რეზერვების კლასიფიკაცია (GB/T 17766-1999)“ და UNFC-ს შორის.
- (f) მაკავშირებელი დოკუმენტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნულ სტანდარტს „ნავთობის რესურსების/რეზერვების კლასიფიკაცია (GB/T 19492-2004)“ და UNFC-ს შორის.

ყველა მაკავშირებელი დოკუმენტის უახლესი ვერსია განთავსებულია UNFC ვებსაიტზე: <https://www.unece.org/energy/se/reserves.html>.

აღიარებულია, რომ კორპორაციულ დონეზე ანგარიშგება შეიძლება განსხვავდებოდეს სახელმწიფო უწყებების მიერ ეროვნულ დონეზე ანგარიშგებებისგან, იმ შემთხვევაში, როცა შეფასებების აგრეგაცია ხდება და/ან როცა შეფასებები განსხვავებული ინფორმაციისა და პროცედურების საფუძველზე მზადდება. ეს საკითხი შემდგომში განხილულია II ნაწილში,

„ეროვნული რესურსების ანგარიშგება“.

- 1 ტერმინები „რესურსი“ და „რესურსები“ არ არის განსაზღვრული UNFC- ში, რადგან მათ კონკრეტული, თუმცა განსხვავებული განმარტებები აქვთ სხვადასხვა სექტორში. ტერმინები აქ მხოლოდ ზოგადი მნიშვნელობებით გამოიყენება.

III ნაწილში განხილულია გამჟღავნების საკითხი და აღნიშნულია, რომ UNFC არის ნებაყოფლობითი სისტემა, რომელიც არ მოითხოვს კონკრეტული პროექტის კატეგორიების (კლასების ან ქვეკლასების) ასახვას. ზოგადი სპეციფიკაციები მოცემულია IV ნაწილში. ისინი საჭიროა იმისთვის, რომ პროდუქტის რაოდენობები (ნებისმიერი პროდუქტისთვის), რომელიც ანგარიშგებულა, როგორც UNFC-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი, საკმარისად შედარებადი იყოს, რომ ასეთი მონაცემების მომხმარებლებმა მისი გამოყენება შეძლონ. ტერმინები „რეზერვები“ და „რესურსები“ არ არის განსაზღვრული UNFC- ში, რადგან მათ კონკრეტული, თუმცა განსხვავებული განმარტებები აქვთ სხვადასხვა სექტორში.

UNFC-ისა და მისი სპეციფიკაციების მართვა ECE-ის რესურსების მართვის ექსპერტთა ჯგუფის პასუხისმგებლობაა.

ტერმინების ლექსიკონი შეყვანილია I დანართში, თუმცა შემოიფარგლება იმ ტერმინებით, რომლებიც სპეციფიკურია UNFC-ისთვის და რომელთა განმარტებები ჯერ არ არის სათანადოდ წარმოდგენილი შეთანხმებულ სისტემებში. გარდა ამისა, დანართი II შეიცავს UNFC-ის ძირითადი ინსტრუქციების გამოყენების მითითებებს. UNFC-ის გამოყენებით პროექტის სიმწიფის საფუძველზე პროექტების ქვეკლასიფიკაციის სახელმძღვანელო მითითებები მოცემულია დანართში III.

II. ეროვნული რესურსების ანგარიშგება

სახელმწიფო დონეზე, ეროვნული პროდუქტის შეფასებები შეიძლება ეფუძნებოდეს ცალკეული პროექტების ანგარიშგებულ ან გამოქვეყნებული კორპორაციული ანგარიშგების აგრეგაციას.² თუმცა, ასეთი შეფასებები შეიძლება არ მოიცავდეს ყველა ცნობილი ან პოტენციური განვითარების ვარიანტს. გარდა ამისა, როდესაც სამთავრობო უწყებები პასუხისმგებელნი არიან შეფასებების შემუშავებაზე რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე, შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს ინდივიდუალურ პროექტების კორპორაციული შეფასებებისგან, მიუხედავად გამოყენებული კლასიფიკაციის სისტემისა. ასეთ შემთხვევებში, UNFC-ის გამოყენებით რეგიონული ან ეროვნული შეფასებები შესაბამისი მეთოდოლოგიით გამოითვლება, გამომდინარე არსებული მონაცემების ხასიათიდან და მოცულობიდან. ზოგადი სპეციფიკაციის თანახმად, აგრეგაციის მეთოდოლოგიის ასახვა აუცილებელია.

UNFC-ის გამოყენებით აგრეგირებული შეფასებების ანგარიშგებისას, სავალდებულოა ცალკეული კლასებისთვის შესაბამისი რიცხვითი კოდების მითითება. მაგალითად, ეროვნულ დონეზე, ეს შესაძლოა სასარგებლო იყოს სიცოცხლისუნარიანი პროექტებისა და პოტენციურად სიცოცხლისუნარიანი პროექტების სავარაუდო რაოდენობების ჯამის განსაზღვრისთვის „საუკეთესო შეფასების“ დონეზე, თუმცა სასურველია, ასევე წარმოდგენილი იყოს კლასების მიხედვით დაყოფა.

III. ინფორმაციის გასაჯაროება (გამჟღავნება)

UNFC არის ნებაყოფლობითი სისტემა და არ ადგენს წესებს, თუ რომელი კატეგორიის პროექტების (კლასები ან ქვეკლასები) ასახვაა სავალდებულო. თუ მთავრობის ან სხვა მარეგულირებელი ორგანოს მიერ არ არის სავალდებულო ან შეზღუდული, პროდუქტის რაოდენობების ასახვა UNFC-ის შესაბამისად მთლიანად ანგარიშმგებელი პირის შეხედულებისამებრ წარმოებს. თუმცა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ასახულმა რაოდენობებმა პროდუქტის შესახებ მომხმარებელს აზრიანი ინფორმაციას მიაწოდოს, ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი ზოგადი სპეციფიკაცია სიცხადისა და შესადარობის უზრუნველყოფის მიზნით. ზოგიერთ შემთხვევაში, ამ სპეციფიკაციების მითითება შესაძლებელია ანგარიშში სქოლიოების გამოყენებით.

IV. ზოგადი სპეციფიკაციები

წინამდებარე ზოგად სპეციფიკაციებში, შემდეგ სიტყვებს აქვთ კონკრეტული მნიშვნელობა:

- „უნდა“ გამოიყენება, თუ დებულება სავალდებულოა;
- „სასურველი“ გამოიყენება, სადაც დებულების შესრულება სასურველია; და,
- „შეიძლება“ გამოიყენება მაშინ, როდესაც ალტერნატივები თანაბრად მისაღებია.

იქ სადაც ქვემოთ ზოგადი სპეციფიკაცია განსაზღვრულია, იგი ადგენს ანგარიშგების მინიმალურ სტანდარტს UNFC-ის მიხედვით.

2 გაითვალისწინეთ, რომ მარეგულირებელ ორგანოებს შეუძლიათ პირდაპირ აკრძალონ კორპორაციულ ანგარიშგებაში ასეთი აგრეგაცია ყველა შემთხვევისთვის.

A. რიცხვითი კოდების გამოყენება

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული კლასები და ქვეკლასები, რომლებიც ნაჩვენებია სურათებში 2 და 3 (იხ. ნაწილი I) შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც დამატებითი ტერმინოლოგია, შესაბამისი რიცხვითი კოდი(ებ)ის ანგარიშგება უნდა მოხდეს სავარაუდო რაოდენობასთან ერთად. მაგალითად, ეს შეიძლება ასახული იყოს 111, 111+112 ან 1.1;1.2;1 სახით, საჭიროებისამებრ.

გაითვალისწინეთ, რომ UNFC-ის II დანართში მოცემული ქვეკატეგორიების გარდა, ზოგიერთი ქვეკატეგორია განსაზღვრულია მომდევნო ტექსტში. ეს არჩევითი ქვეკატეგორიები პოტენციურად შეიძლება გამოსადეგი იყოს გარკვეულ სიტუაციებში და ამ დოკუმენტში განსაზღვრულია მათი გამოყენებისას თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად. არაფერი ამ დოკუმენტში არ გამორიცხავს დამატებითი ქვეკლასების შესაძლო სამომავლო გამოყენებას, რომლებიც შეიძლება გამოსადეგი იყოს კონკრეტულ შემთხვევებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ასეთი ქვეკლასები ხელს უწყობს სხვა სისტემებთან კავშირს და შეიძლება განისაზღვროს მაკავშირებელ დოკუმენტებში.

B. მაკავშირებელი დოკუმენტი

UNFC შეიძლება შესაბამისობაში იყოს ზოგიერთ სხვა კლასიფიკაციის სისტემასთან. მაკავშირებელი დოკუმენტი განმარტავს UNFC-სა და სხვა კლასიფიკაციის სისტემას შორის ურთიერთობას, მათ შორის ინსტრუქციებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ სისტემის გამოყენების შედეგად მიღებული შეფასებების კლასიფიკაცია UNFC რიცხვითი კოდების გამოყენებით. შეფასების საფუძვლად გამოყენებული მაკავშირებელი დოკუმენტი უნდა აისახოს ანგარიშგებულ რაოდენობებთან ერთად.

C. ძალაში შესვლის თარიღი

ანგარიშგებისას პროდუქტების რაოდენობები შეფასებულია ძალაში შესვლის სავარაუდო თარიღისთვის. შეფასებასთან ერთად ძალაში შესვლის თარიღი მკაფიოდ უნდა იქნას მითითებული. სასურველია, შეფასებაში გათვალისწინებული იყოს ყველა მონაცემი და ინფორმაცია, რომელიც შემფასებლისათვის ძალაში შესვლის თარიღამდე იქნება ხელმისაწვდომი. თუ ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ, მაგრამ ანგარიშგებამდე ხელმისაწვდომი გახდა ისეთი ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია არსებითად შეცვალოს შეფასება ძალაში შესვლის თარიღისთვის, ამ ინფორმაციის სავარაუდო გავლენა შეტანილ უნდა იქნას ანგარიშში.

D. პროდუქტი

სასურველია, რომ შეფასებები ცალკე იყოს კლასიფიცირებული თითოეული იმ პროდუქტისთვის, რომელიც გაიყიდება, გადაიყვანება, გამოიყენება, რჩება გამოუყენებელი ან ხმარდება ექსპლუატაციას. თუ კლასიფიკაციის მიზნით სხვადასხვა პროდუქტის შეფასებები აგრეგირებულია და ცალკეული შეფასებები არ არის წარმოდგენილი, აგრეგირებულ შეფასებებს უნდა დაერთოს ახსნა-განმარტება, რომელშიც უნდა მიეთითოს, თუ რომელი პროდუქტები

გაერთიანდა და ასევე კონვერტაციის კოეფიციენტ(ებ)ი, რომლებიც გამოყენებული იყო მათი ეკვივალენტობის უზრუნველსაყოფად აგრეგაციის მიზნებისთვის.³

E. შეფასების საფუძველი

შეფასებები შეიძლება ეხებოდეს პროექტს მთლიანობაში, ან შეიძლება ასახავდეს იმ შეფასებების წილს, რომელიც უკავშირდება პროექტში ანგარიშგებელი ორგანიზაციის გარემოსდაცვით და სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს⁴. ანგარიშგების საფუძველი შეფასებებთან ერთად მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული. სახელმწიფო გადასახადი წილის დამუშავების უფლებისთვის ხშირად განიხილება, როგორც ნაღდი ფულით გადასახადი გადასახადი და, შესაბამისად, ჩვეულებრივ კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო ხარჯები. ასეთ შემთხვევებში, ანგარიშგებულ შეფასებაში შეიძლება აისახოს წილი, რომელიც წილის დამუშავების უფლებისთვის გადასახადს უკავშირდება. თუ ანგარიშით წარმოდგენილი შეფასებაში არ არის შეყვანილი წილი, რომელიც წილის დამუშავების უფლებისთვის გადასახადთან არის დაკავშირებული, აღნიშნული ფაქტი ანგარიშგებაში უნდა აისახოს.

3 მაგალითად, ნედლი ნავთობის მოცულობა შეიძლება შეიცავდეს კონდენსატს და თხევად ბუნებრივ აირს, ამ შემთხვევაში ეს ფაქტი უნდა აისახოს. გარდა ამისა, თუ გაზის მოცულობები „ნავთობის ეკვივალენტურ“ მოცულობაში გადაანგარიშდება და ნედლი ნავთობის შეფასებებთან აგრეგირდება, ეს ფაქტიც უნდა აისახოს. დამატებით, თუ პროდუქტების შეფასებები (მაგალითად, მზის ან ქარის ენერჯია, ნავთობი, გაზი, ქვანახშირი და ურანი) ენერჯიის ეკვივალენტობის ერთეულად გადაანგარიშდება, შესაბამისი კონვერტაციის კოეფიციენტებიც უნდა აისახოს.

4 კომპანიისთვის მიკუთვნებული მთლიანი რაოდენობების წილი დამოკიდებული იქნება კონკრეტულ სახელშეკრულებო ურთიერთობაზე, რომელიც შემუშავებასა და ექსპლუატაციას არეგულირებს და შეიძლება განისაზღვროს კანონის შესაბამისად. კორპორაციული ანგარიშგებისთვის, ზოგადი პრინციპები, რომლებიც ნეტო რაოდენობების დასადგენად გამოიყენება, დოკუმენტირებული უნდა იყოს.

F. საბაზისო წერტილი

საბაზისო წერტილი არის კონკრეტული დროის მომენტი შემუშავების ფარგლებში, რომელშიც ხდება საანგარიშგებო შეფასება ან გაზომვა. საბაზისო წერტილი შეიძლება იყოს გაყიდვის, გადაცემის ან გამოყენების მომენტი შემუშავების შემდეგ, ან შეიძლება იყოს შუალედური ეტაპი, რა შემთხვევაშიც ანგარიშგებულ რაოდენობები ითვალისწინებს ზარალს მიწოდების მომენტამდე, თუმცა არა მას შემდეგ. კლასიფიკაციასთან ერთად უნდა აისახოს საბაზისო წერტილი. თუ საბაზისო წერტილი არ არის მესამე პირებზე რეალიზაციის წერტილი (ან კონტროლის ორგანიზაციის სხვა ოპერაციებზე გადაცემის წერტილი) და ასეთი რაოდენობები კლასიფიცირდება როგორც E1, ასევე მოწოდებულ უნდა იქნეს სავარაუდო გაყიდვების გამოსათვლელად აუცილებელი ინფორმაცია.

G. პროექტების კლასიფიკაცია სიმწიფის დონის მიხედვით

თუ ჩაითვალება, რომ მიზანშეწონილი ან მოსახერხებელია პროექტების ქვეკლასებად დაყოფა, ასეთ შემთხვევაში, პროექტის მიმდინარე სტატუსიდან გამომდინარე, პროექტის სიმწიფის სხვადასხვა დონეების ასახვის მიზნით ანგარიშგებისას შეიძლება გამოყენებული იქნას სურ. 3-ში მოცემული UNFC-ის არჩევითი ქვეკლასები (იხილეთ ნაწილი I). UNFC-ის ქვეკლასებს შორის განსხვავების შესახებ დამატებითი მითითებები მოცემულია დანართი III-ში.

H. განსხვავება E1, E2 და E3 შორის

სხვაობა რაოდენობებს შორის, რომლებიც გარემოსდაცვით-სოციალურ-ეკონომიკურ ღერძზე კლასიფიცირებულია E1, E2 ან E3 სახით, ეფუძნება ფრაზას „გარემოსდაცვითი-სოციალურ-ეკონომიკური მდგრადი განვითარების გონივრული პერსპექტივები პროგნოზირებად მომავალში“. „პროგნოზირებადი მომავლის“ განმარტება შეიძლება განსხვავდებოდეს შემუშავების მიხედვით, აქედან გამომდინარე დაწვრილებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ UNFC-ის შესაბამის სპეციფიკაციებს.

გარემოსდაცვითი-სოციალურ-ეკონომიკური ღერძის კატეგორიები მოიცავს არატექნიკურ საკითხებს, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს პროექტის სიცოცხლისუნარიანობაზე, მათ შორის პროდუქტის ფასებზე, ხარჯებზე, საკანონმდებლო/საგადასახადო ბაზაზე, გარემოსდაცვით რეგულაციებსა და ცნობილ გარემოსდაცვით ან სოციალურ დაბრკოლებებზე, ბარიერებსა თუ სარგებელზე. ამ საკითხებიდან ნებისმიერმა შეიძლება ხელი შეუშალოს ახალი პროექტის განხორციელებას (და, შესაბამისად, რაოდენობები კლასიფიცირდება როგორც E2 ან E3, საჭიროებისამებრ), ან შეიძლება გამოიწვიოს საწარმოო საქმიანობის შეჩერება ან შეწყვეტა არსებული ოპერაციის ფარგლებში. თუ შემუშავების ან ექსპლუატაციის საქმიანობა შეჩერებულია, მაგრამ არსებობს „გარემოსდაცვითი-სოციალურ-ეკონომიკური მდგრადი განვითარების გონივრული პერსპექტივები პროგნოზირებად მომავალში“, პროექტის კლასი უნდა შეცვალოს E1-დან E2-ზე. თუ „გარემოსდაცვითი-სოციალურ-ეკონომიკური მდგრადი განვითარების გონივრული პერსპექტივები პროგნოზირებად მომავალში“ არ ისახება, პროექტის კლასი E1-დან E3-ზე უნდა შეიცვალოს.

ზოგიერთ შემთხვევაში, პოზიტიური სოციალური ან გარემოსდაცვითი ფაქტორების არსებობა

შეიძლება პროექტის დაწყების საკვანძო ფაქტორი აღმოჩნდეს. კლასიფიკაციაში აისახება სოციალური ან გარემოსდაცვითი ასპექტების სიმწიფე და მათი გავლენა პროექტზე.

I. განსხვავება პოტენციურად წარმოებად და აუთვისებელ რაოდენობებს შორის

F1-დან F3-მდე კლასი აერთიანებს პროექტებთან დაკავშირებულ პროდუქტების რაოდენობებს, რომლებიც შემუშავებისთვის პოტენციურად ვარგისია და რომლებშიც გამოიყენება უკვე არსებული ტექნოლოგიები ან შემუშავების ან ექსპლუატაციის ეტაპზე არსებული ტექნოლოგიები. შესაძლოა, არსებობდეს შემუშავების პროექტის გარეშე დარჩენილი რაოდენობები. ასეთი პროდუქტის რაოდენობები კლასიფიცირდება როგორც F4. ეს არის რაოდენობები, რომელთა წარმოების შემთხვევაში შესაძლებელია მათი შექმნა, გაყიდვა ან გამოყენება (მაგ. ელექტროენერგია, სითბო და ა.შ., და არა ქარი, მზის დასხივება და ა.შ.).

J. რაოდენობების აგრეგაცია

გარემოსდაცვითი-სოციალურ-ეკონომიკური ან ტექნიკური მიზანშეწონილობის ღერძების სხვადასხვა კატეგორიად კლასიფიცირებულ პროექტებთან დაკავშირებული შეფასებების აგრეგირება არ უნდა მოხდეს სათანადო დასაბუთებისა და ასახვის გარეშე.⁵ ყველა შემთხვევაში, აგრეგირებული კონკრეტული კლასები უნდა აისახოს კლასიფიცირებულ რაოდენობებთან ერთად (მაგ. 111+112+221+222) და სქოლიოს დართვით. სქოლიოში უნდა განიმარტოს, თუ როგორ განხორციელდა სხვადასხვა E და F კატეგორიის პროექტების აგრეგირება, იმის ალბათობის გათვალისწინებით, რომ, შესაძლოა, ყველა მათგანი არ ჩამოყალიბდეს სიცოცხლისუნარიან პროექტად.

5 გაითვალისწინეთ, რომ მარეგულირებელ ორგანოებს შეუძლიათ პირდაპირ აკრძალონ კორპორაციულ ანგარიშგებაში ასეთი აგრეგაცია ყველა შემთხვევისთვის.

ის ასევე უნდა მიუთითებდეს, თუ გამოიყენება, როგორ განხორციელდა სხვადასხვა G კატეგორიის რაოდენობების აგრეგაცია (არიტმეტიკულად თუ სტოქასტიურად და სტოქასტიური აგრეგაციის შემთხვევაში - როგორ მოხდა მისი გამოყენება).

თუ შეფასებები რამდენიმე პროექტიდან აგრეგირდება, სასურველია აგრეგირებული ჯამების პროდუქტის ტიპისა და ადგილმდებარეობის მიხედვით გამოყოფა (მაგ. ოფშორული ან ლოკალური).

K. ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური დაშვებები

E1, E2 და E3 განსაზღვრებების მიხედვით, გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური დაშვებები უნდა ეფუძნებოდეს არსებულ პირობებს და რეალისტურ ვარაუდებს სამომავლო პირობების შესახებ. გარდა კანონით მოთხოვნილისა, მომავალი საბაზრო პირობების შესახებ დაშვებები ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთის შეხედულებებს უნდა ასახავდეს:

- (a) შეფასებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია;
- (b) კომპეტენტური პირის⁶ ან დამოუკიდებელი შემფასებლის აზრი; ან,
- (c) გარეშე გამოცემული, დამოუკიდებელი მოსაზრება, რომელიც მომავალი პირობების გონივრულ პროგნოზად ითვლება.

დაშვებების საფუძვლის (ფაქტობრივი პროგნოზისგან განსხვავებით) მითითება აუცილებელია. ალტერნატიული დაშვებების გამოყენების შემთხვევაში, აუცილებელია ალტერნატიული შეფასებების მითითება, გამოყენებული დაშვებების ახსნა-განმარტებითურთ.

L. შემფასებლის კვალიფიკაცია

შემფასებლებს უნდა ჰქონდეთ შესაფასებელი რესურსული პროექტის შეფასებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება⁷.

M. ერთეულები და კონვერტაციის კოეფიციენტები

პროდუქტის შეფასებების გლობალური შედარებითობის გასაადვილებლად, ანგარიშგებისას რეკომენდებულია Système International d'Unités-ის (SI საზომი ერთეულები) გამოყენება. თუმცა, აღიარებულია, რომ არსებობს ტრადიციული საზომი ერთეულები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება და მიღებულია გარკვეული პროდუქტებისთვის; ანგარიშგების მიზნებისთვის ასეთი ერთეულების გამოყენების შემთხვევაში, აუცილებელია SI ერთეულებში გადაანგარიშების კოეფიციენტების მითითება. ანალოგიურად, როდესაც რაოდენობები მოცულობის ან წონის ერთეულიდან ენერჯის საზომ ეკვივალენტებად გარდაიქმნება, აუცილებელია გადაანგარიშების კოეფიციენტების მითითება.

N. დოკუმენტაცია

შეფასებების დოკუმენტირება უნდა მოხდეს საკმარისად დეტალურად, იმისთვის, რომ დამოუკიდებელ შემფასებელს ან აუდიტორს შეეძლოს ნათლად გაიგოს შეფასების საფუძველი და მათი კლასიფიკაცია. გაითვალისწინოთ, რომ ეს ვალდებულება უზრუნველყოფს შესაბამისი

შიდა დოკუმენტაციის შექმნასა და შენახვას და არ წარმოადგენს ასეთი ინფორმაციის გარე მხარეებისთვის გამჟღავნების ვალდებულებას.

- 6 გაითვალისწინეთ, რომ „კომპეტენტური პირი“ შეიძლება განსაზღვრულ იქნას კანონით.
- 7 გარდა ამისა, მარეგულირებელ ორგანოებს შეუძლიათ პირდაპირ განსაზღვრონ „კომპეტენტური პირის“ გამოყენება, როგორც ეს განსაზღვრულია რეგულაციებში კორპორაციულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.

დანართი I

ტერმინების ლექსიკონი

ტერმინი განმარტება

შეთანხმებული სისტემა კლასიფიკაციის სისტემა, რომელიც შეესაბამება UNFC-ს, რაც დასტურდება რესურსების მართვის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამტკიცებული გარდამავალი დოკუმენტის არსებობით.

მაკავშირებელი დოკუმენტი დოკუმენტი, რომელიც განმარტავს UNFC-სა და სხვა კლასიფიკაციის სისტემას შორის ურთიერთობას, მათ შორის ინსტრუქციებსა და სახელმძღვანელო მითითებებს, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ სისტემის გამოყენების შედეგად წარმოქმნილი შეფასებების კლასიფიკაცია UNFC რიცხვითი კოდების გამოყენებით.

კატეგორია კლასიფიკაციის ძირითადი საფუძველი ეკოლოგიურ-სოციალურ-ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის სამი ფუნდამენტური კრიტერიუმის გამოყენებით (დაკავშირებული კატეგორიები E1, E2 და E3), ტექნიკური მიზანშეწონილობა (დაკავშირებული კატეგორიები F1, F2, F3 და F4) და სანდობის ხარისხი (დაკავშირებული კატეგორიები G1, G2, G3 და G4). კატეგორიების განმარტებები მოცემულია UNFC-ის I ნაწილის I დანართში.

კლას(ებ)ი რესურსების კლასიფიკაციის პირველადი დონე, რომელიც სამი კრიტერიუმიდან (ღერძებიდან) აღებული კატეგორიების კომბინირების შედეგად წარმოიქმნება.

კრიტერიუმი UNFC რეზერვებისა და რესურსების კლასიფიკაციისთვის სამი ფუნდამენტური კრიტერიუმი იყენებს: ხელსაყრელი გარემო და სოციალურ-ეკონომიკური პირობები პროექტის სიცოცხლისუნარიანობის დასადგენად (E-ღერძი); პროექტის განსახორციელებლად საჭირო ტექნოლოგიის, კვლევებისა და ვალდებულებების სიმწიფე (ღერძი F); და პროექტიდან მიღებული პროდუქტის რაოდენობრივი შეფასების სანდობის ხარისხი (G-ღერძი). თითოეული ეს კრიტერიუმი იყოფა კატეგორიებად და ქვეკატეგორიებად, რომლებიც შემდეგ გაერთიანებულია კლასების ან ქვეკლასების სახით.

შემფასებელი პირი ან პირები, რომლებიც ახორციელებენ შეფასებას ან/და კლასიფიკაციას.

ზოგადი სპეციფიკაციები სპეციფიკაციები (როგორც დოკუმენტირებულია ამ სპეციფიკაციების დოკუმენტში), რომლებიც გამოიყენება რესურსული პროექტის პროდუქტების კლასიფიკაციისთვის UNFC-ის მიხედვით.

იდენტიფიცირებული პროექტი იდენტიფიცირებული პროექტი არის პროექტი, რომელიც დაკავშირებულია ცნობილ წყაროსთან.

ცნობილი წყარო წყარო, რომლის არსებობაც დადასტურებულია პირდაპირი მტკიცებულებებით. უფრო დეტალური სპეციფიკაციები შეგიძლიათ მოიძიოთ შესაბამისი კონკრეტული წყაროს შეთანხმებულ

შემაჯერებელი დოკუმენტი	სხვა რესურსების კლასიფიკაციის სისტემისა და UNFC-ს, ან ამ სისტემასა და არსებულ შეთანხმებულ სისტემების შეჯერების შედეგი, რომელიც გამოყოფს სისტემებს შორის მსგავსებებსა და განსხვავებებს. შემაჯერებელ დოკუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა სისტემის პოტენციალის შეფასების ბაზისად, იმისთვის, რომ განისაზღვროს, თუ რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული სისტემა მაკავშირებელი დოკუმენტის დახმარებით გარდაიქმნას შეთანხმებულ სისტემად.
რიცხვითი კოდი	UNFC-ში განსაზღვრული რესურსების რაოდენობის თითოეული კლასის ან ქვეკლასის რიცხვითი აღნიშვნა. რიცხვითი კოდები ყოველთვის მითითებულია ერთი და იმავე თანმიმდევრობით (მაგ: E;F;G).
პოტენციური წყარო	წყარო, რომლის არსებობა ჯერ კიდევ არ არის დადასტურებული პირდაპირი მტკიცებულებებით, მაგრამ შეფასებულია, როგორც პოტენციურად არსებული, ძირითადად, ირიბი მტკიცებულებების საფუძველზე. უფრო დეტალური სპეციფიკაციები შეგიძლიათ მოიძიოთ შესაბამისი კონკრეტული წყაროს შეთანხმებულ სისტემებში.
პროდუქტი	შესაძლებელია პროექტის პროდუქტების შექმნა, გაყიდვა ან გამოყენება, - მათ შორის ელექტროენერჯის, სითბოს, ნახშირწყალბადების, წყალბადის, მინერალებისა და წყლის. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ პროექტში, როგორცაა განახლებადი ენერჯის წყაროების პროექტები, პროდუქტები (ელექტროენერგია, სითბო, წყალბადი და ა.შ.) განსხვავდება წყაროებისგან (ქარი, მზის გამოსხივება და ა.შ.). სხვა პროექტებში პროდუქტები და წყაროები შეიძლება ერთი და იგივე იყოს, მაგ. ნავთობის პროექტებში, წყაროც და პროდუქტიც არის ნავთობი და/ან გაზი, თუმცა სითხეების მდგომარეობა და თვისებები შეიძლება იცვლებოდეს რეზერვუარიდან ზედაპირამდე პირობებს შორის.

ტერმინი	განმარტება
პროექტი	<p>პროექტი არის განსაზღვრული შემუშავება ან ექსპლუატაცია, რომელიც იძლევა გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. შეფასების ადრეულ ეტაპებზე, შემოწმების ჩათვლით, პროექტი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კონცეპტუალური თვალსაზრისით, ხოლო უფრო მომწიფებული პროექტები განისაზღვრება მნიშვნელოვანი დეტალიზაციით. თუ მთლიანი წყაროს ან მისი ნაწილისთვის შემუშავების ან ექსპლუატაციის განსაზღვრა ამჟამად არსებული ტექნოლოგიის, ან შემუშავების ეტაპზე მყოფი ტექნოლოგიის საფუძველზე შეუძლებელია, ამ წყაროსთან (ან მის ნაწილთან) დაკავშირებული ყველა რაოდენობა კლასიფიცირდება როგორც F4. ეს ის რაოდენობებია, რომელთა შეძენა, გაყიდვა ან გამოყენება შესაძლებელი იქნება მათი წარმოების შემთხვევაში.</p>
წყაროები	<p>ისეთი წყაროები, როგორცაა მზის, ქარის, გეოთერმული ენერჯია, ჰიდრო და ზღვის ენერჯია, ბიოენერჯია, საცავისთვის განკუთვნილი ინექციები, ნახშირწყალბადები, მინერალები, ბირთვული საწვავი და წყალი - წარმოადგენს ნედლეულს რესურსული პროექტებისთვის, საიდანაც პროდუქტების შემუშავება არის შესაძლებელი. წყაროები შეიძლება გამოყენებულ იქნას ბუნებრივი ან მეორადი (ანთროპოგენური წყაროები, ნაყარი და ა.შ.) სახით.</p>
სპეციფიკაციები	<p>დამატებითი დეტალები (სავალდებულო წესები) იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენება რესურსების კლასიფიკაციის სისტემა, რომელიც ამ სისტემის ძირითად განმარტებებს ავსებს. ამ სპეციფიკაციების დოკუმენტში UNFC-სთვის გათვალისწინებული ზოგადი სპეციფიკაციები სიცხადეს და შეთავსებადობას უზრუნველყოფს და ავსებს შეთანხმებულ სისტემებში ჩამოყალიბებული კონკრეტული წყაროსთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, შესაბამისი მაკავშირებელი დოკუმენტის მითითებების მიხედვით.</p>
სპეციფიკაციების დოკუმენტი	<p>გაეროს რესურსების ჩარჩო კლასიფიკაციის გამოყენების სპეციფიკაციები (UNFC)</p>
ქვეკატეგორიები	<p>გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის, ტექნიკური მიზანშეწონილობისა და სანდოობის ხარისხის კრიტერიუმები.</p>
ქვეკლასები	<p>რესურსების კლასიფიკაციის არჩევითი ქვეჯგუფი, რომელიც ეფუძნება პროექტის სიმწიფის პრინციპებს, და წარმოიქმნება ქვეკატეგორიების კომბინირების შედეგად. პროექტის სიმწიფის ქვეკლასები განხილულია ამ სპეციფიკაციების დოკუმენტის III დანართში.</p>

საერთაშორისოდ აღიარებული
ერთეულთა სისტემა და მეტრული სისტემის
თანამედროვე ფორმა. პრეფიქსები და
ერთეულები შექმნა და ერთეულების
განმარტებების ცვლილება საერთაშორისო
შეთანხმების შესაბამისად, გაზომვის
ტექნოლოგიების განვითარებისა და გაზომვის
სიზუსტის გაუმჯობესების კვალდაკვალ
ხორციელდება. შემოკლებით SI.

გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისია

დანართი II

UNFC-ის ძირითადი ინსტრუქციების გამოყენების გაიდლაინები

კლასიფიკაცია (UNFC-ის მიხედვით)	UNFC-ის კონკრეტულ კლასისთვის (ან ქვეკლასისთვის) სავარაუდო რაოდენობების დადგენა სამივე კრიტერიუმისთვის კატეგორიის
კლასიფიკაციის სისტემების ჰარმონიზაცია	ან ქვეკატეგორიის განმარტებებზე დაყრდნობით და როგორც ზოგადი სპეციფიკაციების, ისე შეთანხმებულ სისტემებში კონკრეტული
კლასიფიკაციის სისტემებს შორის შეჯერება	წყაროსთვის განსაზღვრულ მოთხოვნების გათვალისწინებით, შესაბამისი მაკავშირებელი დოკუმენტის მითითებების მიხედვით.
შეთანხმებული სისტემის მეშვეობით შეჯერება	სისტემებს შორის არსებითი განსხვავებების იდენტიფიცირება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო შემდეგ, შეჯერების გზით, საჭიროების შემთხვევაში, სისტემის განმარტებების და/ან სპეციფიკაციების კორექტირება იმგვარად, რომ შედარებადი შედეგები იქნას მიღებული. UNFC-თან ჰარმონიზებული სისტემა შეიძლება შეთანხმებულ სისტემად იქცეს მაკავშირებელი დოკუმენტის შემუშავებისა და დამტკიცების გზით (რესურსების მართვის ექსპერტთა ჯგუფის მიერ). შემაჯერებელი დოკუმენტის გენერირება ერთი კლასიფიკაციის სისტემის თითოეული კატეგორიის/კლასის განმარტებებისა და სპეციფიკაციების სხვა სისტემის თითოეული კატეგორიის/კლასების განმარტებებთან და სპეციფიკაციებთან შედარების გზით, მათ შორის მსგავსებებისა და განსხვავებების გამოვლენის მიზნით.

მესამე კლასიფიკაციის სისტემის UNFC-თან
შეჯერება, თავდაპირველად მისი იმ

სისტემასთან შეჯერებით, რომელიც უკვე
შეჯერებული და შეთანხმებულია UNFC-თან.

სისტემების შეთანხმება იხილეთ კლასიფიკაციის სისტემების ჰარმონიზაცია.

უშუალოდ UNFC-ის გამოყენება რაოდენობების კლასიფიკაცია თავდაპირველად
შეთანხმებულ სისტემაში შეფასებების გენერირების გარეშე.
აღნიშნული მაინც მოითხოვს შესაბამისობას როგორც უნივერსალურ
სპეციფიკაციებთან, ისე შეთანხმებულ სისტემებში კონკრეტული
წყაროსთვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან, შესაბამისი
მაკავშირებელი დოკუმენტის მითითებების მიხედვით.

UNFC-ის, როგორც ჰარმონიზაციის
ინსტრუმენტის გამოყენება

იხილეთ კლასიფიკაციის სისტემების
ჰარმონიზაცია.

დანართი III

UNFC-ის მიხედვით პროექტების ქვე- კლასიფიკაციისთვის პროექტის სიმწიფის გამოყენების სახელმძღვანელო მითითებები

UNFC იძლევა ქვეკატეგორიების განმარტებების სრული ნაკრების გამოყენებით პროექტების ქვეკლასიფიკაციის საშუალებას ⁸. სისტემაში ამ დონის დეტალიზაციის გამოყენება სავალდებულო არ არის, თუმცა იგი ფართოდ არის აღიარებული, როგორც პორტფელის სამართავი ძლიერი ინსტრუმენტი, როგორც კორპორაციულ, ისე ეროვნულ დონეზე. ქვეკლასების კონცეფცია პროექტის სიმწიფის მიხედვით კლასიფიცირებას ეფუძნება, რაც ფართო გაგებით ებმის იმის აღბათობას, რომ პროექტი საბოლოოდ სიცოცხლისუნარიანი გახდება და შეძლებს პროდუქტის გაყიდვას ან გამოყენებას.

თავდაპირველად, ვიდრე შესაბამისი ქვე-კლასის მინიჭების საკითხს განვიხილავდეთ, აუცილებელია დაკმაყოფილდეს კატეგორიისა და ქვეკატეგორიის განსაზღვრებები, ისევე როგორც ზოგადი სპეციფიკაციები და შესაბამისი რესურსების სპეციფიკაციები, რომლებიც აუცილებელია პროექტების მაღალი დონის კლასიფიკაციისთვის - რაც გულისხმობს პროექტების კლასიფიცირებას სიცოცხლისუნარიან, პოტენციურად სიცოცხლისუნარიან და არასიცოცხლისუნარიან პროექტებად.

პროექტის სიმწიფის ქვეკლასები ეფუძნება მასთან დაკავშირებულ საქმიანობებს (მაგ. ბიზნეს გადაწყვეტილებები, სახელმწიფო ნებართვები და ა.შ.), რომელიც საჭიროა პროექტის სიცოცხლისუნარიან წარმოებაზე გადასავლელად. პროექტის სიმწიფის სხვადასხვა დონეების გამოიყენება შიდა (კორპორაციული) პროექტის „გადაწყვეტილების მიღების ეტაპებთან“ შესაბამისობას ემსახურება, რითაც უზრუნველყოფს კომპანიის შიგნით გადაწყვეტილების მიღებისა და ძირითადი კაპიტალის ღირებულების პროცესებს შორის პირდაპირ კავშირის, ასევე მისი აქტივების პორტფელის რესურსების კლასიფიკაციის გამოყენებით დახასიათებას.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ დეველოპერების მიზანი ყოველთვის არის პროექტების „ზედა საფეხურზე“, სიმწიფის უფრო მაღალ დონეზე გადაყვანა და საბოლოოდ სიცოცხლისუნარიან წარმოებაზე გადასვლა, გარემოებების ცვლილებამ (მაგ. ცვლილება ადგილობრივ გარემოსდაცვითი, სოციალური ან საბაზრო პირობებში, ან მოქმედ ფისკალური რეჟიმში, ან დამატებითი მონაცემების მოპოვების იმედგამაცრუებელი შედეგები) შეიძლება პროექტების ქვედა ქვეკლასამდე „ჩამოქვეითება“ გამოიწვიოს.

UNFC-ის მე-3 სურათზე მოცემული ქვეკლასების (იხ. ნაწილი I) მიღების შემთხვევაში, შემდეგი

სახელმძღვანელო მითითებები უნდა იქნას გამოყენებული.

(a) სიცოცხლისუნარიანი პროექტები

მიმდინარე წარმოება გამოიყენება იქ, სადაც პროექტი რეალურად აწარმოებს და ყიდის ან იყენებს ერთ ან მეტ პროდუქტს შეფასების ძალაში შესვლის თარიღისთვის. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თარიღისთვის პროექტის განხორციელება შეიძლება 100%-ით არ იყოს დასრულებული, მთლიან პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს ყველა საჭირო ნებართვა და კონტრაქტი და კაპიტალური სახსრებიც გამოყოფილი იყოს.⁹ თუ პროექტის შემუშავების გეგმის ნაწილი ჯერ კიდევ საჭიროებს ცალკე დამტკიცებას ან/და კაპიტალური სახსრების გამოყოფას ისე, რომ ამჟამად არ არის გადაწყვეტილი მისი გაგრძელება, პროექტის ეს ნაწილი ცალკე პროექტად უნდა კლასიფიცირდეს, შესაბამის ქვეკლასში.

დამტკიცებული შემუშავებისთვის მოითხოვს, რომ ყველა ნებართვა მიღებული/კონტრაქტი გაფორმებული იყოს და კაპიტალური სახსრები - გამოყოფილი. საპროექტო ობიექტების მშენებლობა და მონტაჟი უნდა მიმდინარეობდეს ან უახლოეს მომავალში დაიწყოს. პროექტის გონივრულ ვადებში შეუსრულებლობა მისაღებად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს გარემოებების სრულიად გაუთვალისწინებელ ცვლილებას, რომლებიც დეველოპერების კონტროლს არ ექვემდებარება.

დასაბუთებული შემუშავებისთვის მოითხოვს, რომ პროექტის ტექნიკური მიზანშეწონილობა გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა დადასტურებული იყოს და უნდა არსებობდეს გონივრული მოლოდინი, რომ პროექტის შემუშავებისა და ექსპლუატაციის გასაგრძელებლად ყველა საჭირო ნებართვა მიღებული/კონტრაქტი გაფორმებული იქნება.

8 იხილეთ UNFC-ის სურათი 3 (იხ. ნაწილი I).

9 ზოგიერთ შემთხვევაში, პროექტს ოპერაციებისა და გაყიდვების წარმოების ან პროდუქტების გამოყენების დაწყება შეუძლია ისეთ შემთხვევაში, როცა დამტკიცებული შემუშავების გეგმის ნაწილი ჯერ არ არის დასრულებული (მაგალითად, ზოგიერთი მომპოვებელი ჭაბურღილი ჯერ კიდევ არ არის გაბურღული და/ან მიერთებული). თუმცა, სიფრთხილის გამოჩენა საჭირო, რომ ასეთი სიტუაცია განვასხვაოთ ეტაპობრივი შემუშავებისგან, სადაც შემდგომი ეტაპზე გადასვლა საჭიროებს ცალკე დამტკიცების პროცესის გავლას, რაც შეიძლება პირველი ეტაპის შედეგებზე იყოს დამოკიდებული.

(b) პოტენციურად სიცოცხლისუნარიანი პროექტები

მომლოდინე შემუშავება შემოიფარგლება მხოლოდ ისეთი პროექტებით, რომლებიც აქტიურად ეწევა პროექტისთვის სპეციფიკურ ტექნიკურ საქმიანობებს, როგორცაა დამატებითი მონაცემების მოპოვება (მაგ. ბურღვა შეფასების მიზნით) ან პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება და მასთან დაკავშირებული სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ანალიზი, რომლებიც პროექტის სიცოცხლისუნარიანობის დადასტურებას და/ან შემუშავების ოპტიმალური სცენარის დადგენას ემსახურება. ამას გარდა, მასში ასევე შეიძლება შეყვანილ იქნას პროექტები, რომლებსაც შეექმნათ არატექნიკური ხასიათის გაუთვალისწინებელი გარემოებები, იმ პირობით, რომ აღნიშნული გაუთვალისწინებელი გარემოებების გადაწყვეტა ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს დეველოპერების მიერ და მოსალოდნელია, რომ პოზიტიურად გადაწყდება გონივრულ ვადებში. მოსალოდნელია, რომ ასეთ პროექტებს სიცოცხლისუნარიანობის მიღწევის მაღალი ალბათობა ექნებათ.

შეჩერებული შემუშავება გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მიჩნეულია, რომ პროექტს აქვს სიცოცხლისუნარიანობის მიღწევის მინიმუმ გონივრული შანსი (ე.ი. არსებობს შესაძლო ეკონომიკური წარმოების გონივრული პერსპექტივები), მაგრამ როდესაც მიმდინარე ეტაპზე არსებობს მნიშვნელოვანი არა-ტექნიკური ხასიათის გაუთვალისწინებელი გარემოებები (მაგ. ეკოლოგიური ან სოციალური პრობლემები), რომლებიც უნდა გადაწყდეს სანამ პროექტის შემუშავება გაგრძელდება.

მთავარი განსხვავება მომლოდინე შემუშავებასა და შეჩერებულ შემუშავებას შორის მდგომარეობს იმაში, რომ პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს მხოლოდ ისეთი მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფაქტორების არსებობას, რომლებზეც დეველოპერებს შეუძლიათ პირდაპირი ზეგავლენის მოხდენა, და ახდენენ ამ ზეგავლენას (მაგ. მოლაპარაკებების გზით), ხოლო მეორე შემთხვევაში ძირითადი გაუთვალისწინებელი ფაქტორები დამოკიდებულია სხვა მხარეების გადაწყვეტილებებზე, რომლებზეც დეველოპერებს უშუალოდ მცირე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ, ან საერთოდ არ შეუძლიათ და ამ გადაწყვეტილებების შედეგიც და დროც გაურკვეველია.

(c) არასიცოცხლისუნარიანი პროექტები

დაუზუსტებელი შემუშავება მიზანშეწონილია პროექტებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ ტექნიკური და გარემოსდაცვით-სოციო-ეკონომიკური შეფასების ადრეულ ეტაპებზე არიან (მაგ. ბოლო ახალი აღმოჩენა) და/ან სადაც საჭიროა შემდგომი მნიშვნელოვანი მონაცემების მოპოვება, რათა მოხდეს სიცოცხლისუნარიანი განვითარების პოტენციალის აზრიანი შეფასება, ე.ი. მოცემულ ეტაპზე არ არის საკმარისი საფუძველი დასკვნისთვის, რომ არსებობს საბოლოო სიცოცხლისუნარიანი წარმოების დასაბუთებული პერსპექტივები.

არასიცოცხლისუნარიანი შემუშავება გამოიყენება იქ, სადაც შესაძლებელია ტექნიკურად მიზანშეწონილი პროექტის იდენტიფიცირება, მაგრამ მიჩნეულია, რომ პროექტს არ გააჩნია საკმარისი პოტენციალი იმისთვის, რომ მონაცემთა მოპოვების შემდგომი აქტივობები ან გაუთვალისწინებელი ფაქტორების დაძლევის ძალისხმევები გამართლებულად ჩაითვალოს. ასეთ შემთხვევებში შეიძლება სასარგებლო იყოს ამ რაოდენობების იდენტიფიცირება და აღრიცხვა ისე, რომ გამოვლინდეს სიცოცხლისუნარიანი განვითარების შესაძლებლობის

პოტენციური ტექნოლოგიის ან გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში.

(d) დანარჩენი პროდუქტები, რომლებიც არ შემუშავებულა პროექტიდან

კლასიფიკაცია - დანარჩენი პროდუქტები, რომლებიც არ შემუშავებულა პროექტიდან - მიესადაგება მხოლოდ იმ რაოდენობებს, რომლის შემთხვევაშიც არ გამოვლენილა ტექნიკურად განხორციელებადი პროექტები, რომლებიც აღნიშნული რაოდენობების წარმოებას შეძლებდნენ. ამ რაოდენობებიდან ზოგიერთის წარმოება შეიძლება მომავალში მოხდეს ახალი ტექნოლოგიების განვითარების შედეგად.

10 არსებულ და ხელმისაწვდომ ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიან ბაზარზე საკმარისი მოთხოვნის ნაკლებობა შეიძლება იყოს კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ პროექტი კლასიფიცირდეს, როგორც შეჩერებული შემუშავება, მაგრამ სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, რომ ასეთი სიტუაცია განვასხვავოთ სიტუაციისგან, როცა მიმდინარე ეტაპზე არ არსებობს ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი ბაზარი (არასიცოცხლისუნარიანი შემუშავება).

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია - რესურსების ჩარჩო კლასიფიკაცია

გაეროს რესურსების ჩარჩო კლასიფიკაცია (UNFC) არის გლობალური კლასიფიკაციისა და მართვის სისტემა, რომელიც გამოიყენება მინერალური, ნავთობის, ბირთვული საწვავის, განახლებადი ენერჯისა და ანთროპოგენური რესურსების, აგრეთვე წყლისა და გეოლოგიური საცავისთვის განკუთვნილი ინიექციის პროექტებისთვის. მას შემდეგ, რაც მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) მიღებულ იქნა, ენერგეტიკისა და ნედლეულის რესურსების მდგრადი მართვა გადამწყვეტი გახდა ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის მთავრობების, ინდუსტრიის, ინვესტორებისა და თემებისთვის.

UNFC-ის ეს განახლებული ვერსია მიზნად ისახავს დააკმაყოფილოს რესურსების სხვადასხვა სექტორისა და მომხმარებლების მოთხოვნები, ასევე სრულად შეესაბამებოდეს რესურსების მდგრად მართვას, რომელიც განსაზღვრულია 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგით. ძირითადი ცვლილებებით, მათ შორის ტექსტის სტანდარტიზაციით, UNFC ყველა რესურსისთვის გამოყენებადი ხდება. ეს განახლება არ ცვლის კლასიფიკაციის სისტემას და, შესაბამისად, გავლენას არ მოახდენს UNFC-ის ამჟამინდელ მომხმარებლებზე. განახლებული ტექსტის მიზანია, UNFC-ის მომხმარებლებს გაუადვილოს მისი გამოყენება.

საინფორმაციო სამსახური

გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისია

ერთა სასახლე

CH - 1211 ქუენევა 10, შვეიცარია

ტელეფონი: +41(0)22 917 12 34

ფაქსი: +41(0)22 917 05 05

ელ.ფო

სტა: unece_info@un.org

ვებგვე

რდი: <http://www.unece.org>

შექმნილია და დაბეჭდილია გაერთიანებული ერების
ორგანიზაციაში, ჟენევა – 1922546 (E) – იანვარი 2020 – 1,440 –
ECE/ENERGY/125

ISBN 978-92-1-117233-1



9 789211 172331